ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N20

ქ.თბილისი

12 ივნისი, 2018 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	გიორგი ბირბიჩაძე
რამინა ბერაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ლევან დარახველიძე	გიორგი დოხტურიშვილი
თევდორე ისაკაძე	ირაკლი ზარქუა
თინათინ ნიბლოშვილი	ფრიდონ ინჯია
ელენე ოზაშვილი	ერეკლე კუხიანიძე
დათო ჟღენტი	ქეთევან მამულაშვილი
რევაზ სოხაძე	შალვა ოგბაიძე
დავით უთმელიძე	ლევან ჟორჟოლიანი
თარაშ შურღაია	დათო რურუა
ავთანდილ ცინცაძე	ვახტანგ შაქარიშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ილია ჯიშკარიანი	ვლადიმერ ძნელაძე
ქეთევან ჯოხაძე	ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსი თემურ ბოლოთაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გალაქტიონ ბუაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რამდენიმე დღის წინ ავტოავარიაში გარდაცვლილი სკოლის მოსწავლის და მოსწავლეების მშობლების ხსოვნას. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გალაქტიონ ბუაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ბენდელიანი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მერაბ მამულაშვილი

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: რუსუდან მირზიკაშვილი

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თემურ ბოლოთაშვილი

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

10. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.753, ფართობი 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

11. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩა N61-სა და დავით აღმაშენებლის ხეივნის N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) სასამართლო და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

12. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში, ს/კ.: 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს“-ს (ს/კ.: 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ.თბილისში, საირმის ქუჩა N82-ში მდებარე 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ.: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ“ 2016 წლის 1 აპრილის N04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ.: 33001008974) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ᵃ მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გალაქტიონ ბუაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ირაკლი ბენდელიანმა და ისაუბრა გალაქტიონ ბუაძის სამუშაო გამოცდილებაზე და პროფესიონალიზმზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როდესაც თანამდებობაზე წარდგენილია გამოცდილი და პროფესიონალი კანდიდატურა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, შემოსავლების უკეთესად აღრიცხვის და პროგნოზირების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშების უფლებამოსილება ენიჭება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები გამომდინარეობს სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კერძოდ, სამსახურს ემატება ერთი სამმართველო, რომელშიც გაერთიანდება ხუთი განყოფილება: აკუსტიკური ხმაურის კონტროლის, გარე-ვაჭრობის მონიტორინგის, ხაზობრივი ნაგებობების მონიტორინგის, ნარჩენების კონტროლის და რეკლამების მონიტორინგის. აღსანიშნავია, რომ დამატებულია მხოლოდ აკუსტიკური ხმაურის კონტროლის ფუნქცია, ხოლო ყველა სხვა დანარჩენ ფუქნქციას, აქამდეც ახორციელებდა ზედამხედველობის საქალაქო სამსახური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ და განმარტა, რომ პროექტის მიღება გამოწვეულია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულებაში განხორციელებული ცვლილებებით. აღსანიშნავია, რომ არ იზრდება არც საშტატო რიცხოვნობა და არც სამსახურის ბიუჯეტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვლადიმერ ჭიღლაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები გამოიწვია სამგორის რაიონის გამგეობაში არსებული ვაკანსიების ოპტიმალურმა გადანაწილებამ. აღსანიშნავია, რომ არ იზრდება არც გამგეობის ბიუჯეტი და არც საშტატო რიცხოვნობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა და განმარტა, რომ დედაქალაქში ახალი, დიდი ზომის ავტობუსების შემოყვანამ განაპირობა საშუალო ტევადობის ავტობუსების გამოთავისუფლება. ამ უკანასკნელების ტექნიკურად სრულფასოვნად გამართვის და სატრანსპორტო კომპანიასთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, დედაქალაქის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, გამოიყო 25 ერთეული ავტობუსი, რომლებიც გადანაწილდა შემდეგნაირად: არსებულ მარშრუტებს დაემატა ავტობუსების რაოდენობა, გაიხსნა 7 ახალი მარშრუტი და კორექტირება განხორციელდა 4 მარშრუტზე. მერაბ მამულაშვილმა დეტალურად ისაუბრა თითოეულ ახალ და დაკორექტირებულ მარშრუტებზე.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მნიშვნელოვანი და მისასალმებელია, რადგან აღნიშნული მარშრუტების დამატებასა და ავტობუსების მოძრავ ერთეულებს შორის ინტერვალის შემცირებაზე მოთხოვნა იყო მოსახლეობის მხრიდან.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მისასალმებელია, თუმცა ნუცუბიძის IV პლატოდან დიდუბე-დიღმის და რკინიგზის სადგურის მიმართულებით არც ერთი მარშრუტი არ არის დანიშნული, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობას უკმაყოფილებას და დაინტერესდა, დაგეგმილია თუ არა აღნიშნულის გათვალისწინება.

მერაბ მამულაშვილმა განმარტა, რომ მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული მიმართულებით დანიშნული იყო მიკროავტობუსის მარშრუტი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ამ მიმართულებებით გადაადგილდება, მოთხოვნა იყო დაბალი და ვერ იმუშავა, რის შემდეგაც მარშრუტი ისევ გაუქმდა. აღნიშნულის განხორციელებისთვის საჭიროა რესურსი, თუმცა, სამომავლოდ, ნუცუბიძის პლატოს მიმართულებით დაგეგმილია გარკვეული მარშრუტების დანიშვნა.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ დედაქალაქში ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა სერიოზული პრობლემა იყო და ახალი მარშრუტების დანიშვნა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებული პრობლემების მოგვარება იყო დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება და მისასალმებელია, რომ შეზღუდული რესურსის პირობებში, მოხდა ახალი მარშრუტების დანიშვნა და რამდენიმე არსებულ მარშრუტში კორექციის შეტანა.

ქეთევან ჯოხაძემ ტრანსპორტის სამსახურს მადლობა გადაუხადა მუხიანის მოსახლეობის სახელით, რადგან წარმოდგენილი ცვლილებები ასევე ეხება ამ რაიონში მოძრავ საზოგადოებრივ ტრანსპორტს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა რუსუდან მირზიკაშვილმა და განმარტა, რომ დედაქალაქის ისტორიული არეალის განვითარებისთვის შემუშავებული წინადადებების განხილვა ასევე განეკუთვნება საბჭოს კომპეტენციას. შესაბამისად, მიზანშეწონილია სამსახურის დებულებაში განხორციელდეს ცვლილებები, რომლითაც ურბანული განვითარების სამსახურს მიეცემა საშუალება, საკითხები წარადგინოს საბჭოზე და მიაწოდოს დასკვნა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსმა თემურ ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ დღეს მოქმედი წესების მიხედვით, თუ განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისწინებს კ2 კოეფიციენტის გადამეტებას, გაიცემა სპეციალური ზონალური შეთანხმების აქტი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ხელმოწერით. წარმოდგენილი ცვლილებებით აღარ იქნება საჭირო აღნიშნული აქტის გამოცემა და სპეციალურ ზონალურ შეთანხმებად ჩაითვლება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ის ნაწილი, რომლითაც განსაზღვრული იქნება კოეფიციენტის გადამეტება. აღსანიშნავია ისიც, რომ კოეფიციენტის გადაჭარბებისთვის სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებლის გადახდა მოხდება მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია 15 პოზიცია (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031815182-03 თარიღი: 31.05.2018; N12-031815822-03 თარიღი: 07.06.2018; N12-03181596-03 თარიღი: 08.06.2018), რომელთაგან, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2 პოზიციაზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას უარი ეთქვა. ესენია:

1. „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II, III და IV მ/-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის II, III და IV მ/-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II, III და IV მ/რ-ის მიმდებარედ, (ნაკვ. 15/155) / ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II, III და IV მ/-ის, მიმდებარედ, ნაკვეთი N56-ზე (საკადასტრო კოდი: 01.14.02.011.052, ფართობი: 203 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილება".
2. „ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 72.16.21.768), ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 72.16.21.770) და ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 72.16.21.769) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ფართობი: 81 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილება".

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი სხდომაზე განხილული იქნას ზემოთ აღნიშნული პოზიციების გარეშე. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.753, ფართობი 8854.00 კვ.მ.) სავაჭრო ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია სსზ 2-ში დაშვებული, მაქსიმუმ ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, როსტევანის ქუჩა N61-სა და დავით აღმაშენებლის ხეივნის N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.065.022) სასამართლო და მისი დამხმარე დანიშნულების ობიექტების (საგენერატორო და არსებული სატრანსფორმატორო ჯიხური) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ სასამართლო წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 5-ში დასაშვებ საგამონაკლისო სახეობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ვარკეთილის მე-3 მასივში ბევრი ავარიული შენობაა, რომელთა ჩანაცვლების მიზნით, ინვესტორის შერჩევაზე ცხადდება კონკურსი. კონკურსში გამარჯვებულ ინვესტორს, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, გადაეცემა 30000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სადაც ის შეძლებს საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. პირობის თანახმად, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ინვესტორი მუნიციპალიტეტს გადასცემს საცხოვრებელ ბინებს, გარემონტებულ მდგომარეობაში, მინიმუმ 170 ოჯახისთვის, რაც მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას, ფართები გადასცეს ავარიულ შენობებში მცხოვრებ მოსახლეობას, ხოლო გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე განაგრძოს ინვესტორის შერჩევა მსგავსი ტიპის მშენებლობებისთვის. ირაკლი თავართქილაძემ აქვე აღნიშნა, რომ ინვესტორის შერჩევის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი იქნება ის, თუ ვინ უფრო მეტ ფართს გადასცემს მუნიციპალიტეტს.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 2260 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემას, ბაღის მშენებლობისთვის, ხოლო დამტკიცებული გრგ-ს მიხედვით განსაზღვრული იყო კოეფიციენტი და დაინტერესდა ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს თუ არა ფართში აღნიშნული მიწის ნაკვეთი. აქვე აღნიშნა, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტს უნდა გადაეცეს გარემონტებული ბინები და გამოთქვა მოსაზრება, რომ ასეთი სახის ინტერესთა გამოხატვის შემთხვევაში, უმჯობესია დაკონკრეტდეს ტექნიკური მახასიათებლები, რადგან საუბარია ჩვენ მოქალაქეებზე და არსებობს იმის რისკი, რომ კომპანიას აქვს შესაძლებლობა მშენებლობისთვის გამოიყენოს დაბალი ხარისხის მასალა. ასევე საინტერესოა, შეძლებს თუ არა მოქალაქე, სურვილის შემთხვევაში, უფრო მაღალი ხარისხის რემონტის გაკეთებას და აუნაზღაურდება თუ არა ფასის განსხვავება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ბაღის ასაშენებლად განკუთვნილი მიწის ნაკვეთი გათვალისწინებულია საერთო კოეფიციენტში, შემდგომ მოხდება გამიჯვნა და მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა. რაც შეეხება რემონტისთვის გამოსაყენებელი მასალის ტექნიკურ მახასიათებლებს, მითითებულია ინვესტორების მიერ სარეკლამოდ გამოყენებული მასალა, ხოლო დამატებით დეტალებზე მუშაობა შესაძლებელი იქნება გამარჯვებულ ინვესტორთან, ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე. მაღალი ხარისხის რემონტის გაკეთებაზე განმარტა, რომ მოქალაქეს თავისი სახსრებით შეუძლია გააკეთოს ნებისმიერი ტიპის რემონტი, თუმცა ფასთა სხვაობის ანაზღაურება არ მოხდება, რადგან, ნებისმიერი ხარისხის რემონტის შემთხვევაში, გადაცემული ფართის ღირებულება იქნება უფრო მაღალი, ვიდრე დათმობილი საკუთრების.

რევაზ სოხაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ უფრო სწორი იქნება დეტალიზება არა შემდგომ, არამედ ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე, რათა წინასწარ იყოს ცნობილი პირობები კონკურსში მონაწილე ინვესტორებისთვის. მნიშვნელოვნია, ინვესტორმა წინასწარ იცოდეს, რომ აღარ

მოხდება არსებული გრგ-ს კორექტირება, რათა შემდგომში, სხვადასხვა მიზეზით, არ მოითხოვოს კოეფიციენტის გაზრდა.

გიორგი დოხტურიშვილის თქმით, წარმოდგენილი საკითხი არის ქალაქისთვის მრავალწლიანი პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს. განაცხადა, რომ მისთვის, როგორც აღნიშნული რაიონის მაჟორიტარი დეპუტატისთვის, საინტერესო და მნიშვნელოვანია პროცესში უშუალო ჩართულობა და შესაბამისად, საჭიროა მჭიდრო კომუნიკაცია. აქვე აღნიშნა, რომ მერიის წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული ინფორმაციით, ავარიულ კორპუსებში მაცხოვრებლებისთვის ფართების გადაცემის ეტაპზე პრიორიტეტი მიენიჭება იმ კორპუსს, რომელიც პირველი შეაგროვებს 100%-იან ხელმოწერას და განაცხადა, რომ ასეთი მიდგომით ვერ მივიღებთ იმ შედეგს, რომ დაიზოგოს და გამოთავისუფლდეს ბიუჯეტის თანხა, რადგან არიან ისეთი ოჯახები, რომლებიც უკვე 11 წელია გამოსახლებული არიან საცხოვრებელი ბინებიდან და მუნიციპალიტეტი უხდის ბინის ქირას. ასევე, დაინტერესდა, სურვილის შემთხვევაში, მოსახლეობას ექნება თუ არა შესაძლებლობა დაბრუნდეს იმ ლოკაციაზე აშენებულ შენობაში, რომლის სანაცვლოდაც გადაიყვანენ სხვა ფართში.

ირაკლი თავართქილაძე დაეთანხმა გიორგი დოხტურიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ავარიული სახლების მესაკუთრეებმა უარი უნდა თქვან თავიანთ საკუთრებაზე ახალის სანაცვლოდ, ამის დაძალების და ზემოქმედების არანაირი ბერკეტი არ არსებობს. თუკი არ იქნება სრულად კორპუსის თანხმობა, მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებს არსებული ავარიული კორპუსის დემონტაჟს, რაც გამოიწვევს იმას, რომ პროექტს გაგრძელება აღარ მოჰყვება და ვერ შესრულდება მიზანი. პირვანდელ ლოკაციაზე აშენებულ შენობაში დაბრუნებაზე განმარტა, რომ მოსახლეობა ავარიულ შენობაში არსებულ საკუთრებას თმობს ახალი საკუთრების სანაცვლოდ და შესაბამისად, უკან დაბრუნების საშუალება აღარ ექნება.

ირაკლი ზარქუამ განმარტა, რომ საუბარია არა იმაზე, თუ ვინ პირველი მოიტანს ხელმოწერებს, არამედ იმაზე, რომ პროცესი წარიმართოს ორგანიზებულად და სრულად, 100%-ით მოხდეს ძველი საკუთრების დათმობა ახლის სანაცვლოდ. აღნიშნა, რომ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მხარს უჭერს წარმოდგენილი პროექტის განხორციელებას, რადგან ეს არის ქალაქის და მისი მოსახლეობის კეთილდღეობისკენ წინ გადადგმული ნაბიჯი და ამ პროცესში საკრებულოს წევრების ჩართულობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

გიორგი ტყემალაძემ არსებული გრგ-ს სამომავლო კორექტირებასთან დაკავშირებით, გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება არა კოეფიციენტის ზრდის აკრძალვა, არამედ პირობის განსაზღვრა, რომ კოეფიციენტის ზრდის შემთხვევაში, მოხდება დამატებითი ფართების გადმოცემა მუნიციპალიტეტისთვის.

ირაკლი თავართქილაძემ კოეფიციენტის ზრდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინტერესთა გამოხატვა არის ორ ეტაპიანი: პირველი ფაზა არის წინასამშენებლო, რომელიც მოიცავს ინვესტორის მიერ, მშენებლობის დაწყებამდე განსახორციელებელი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ჩატარებას, რომლის შემდგომაც საბოლოო წინადადებას წარუდგენს მუნიციპალიტეტს და სწორედ ამ ეტაპზე, სანამ ინვესტორს გადაეცემა მიწის ნაკვეთი, გადაწყდება ყველა საკითხი და დეტალურად გაიწერება ხელშეკრულებაში.

ლევან დარახველიძემ აღნიშნა, რომ პროექტის მთავარი მიზანი იყო ავარიული ბინებიდან ქირით გაყვანილი მოსახლეობისთვის გასაწევი თანხის ჩანაცვლება და სწორედ ამიტომ ხდება ინვესტორისთვის თავისუფალი მიწის ნაკვეთის გადაცემა და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ მიზნის და სასურველი შედეგის მისაღწევად, უმჯობესი იქნება ფართების გადაცემისას პრივილეგირებული იყოს გასახლებული მოსახლეობა და არა ის კორპუსი, ვინც პირველი შეაგროვებს 100% ხელმოწერას.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ განსაზღვრულია ავარიულობის კატეგორიები და პრივილეგიის მინიჭებაც სწორედ კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება, ხოლო პრიორიტეტის მინიჭება 100%-იანი ხელმოწერების შეგროვების მიხედვით, მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი და იმავე კატეგორიის ავარიულობის შემთხვევაში.

ლევან ჟორჟოლიანმა რემონტის ხარისხზე განმარტა, რომ ავარიულ კორპუსში მაცხოვრებელ ნებისმიერ მოქალაქეს, როგორც სამომავალო უფლების მქონე პირს, შეუძლია ჩაერთოს ხელშეკრულების გაფორმების პროცესში და ინდივიდუალურად აწარმოოს მოლაპარაკება ინვესტორთან. ასევე, მნიშვნელოვანია საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში და მოსახლეობისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდება, რადგან თუნდაც ერთი მაცხოვრებლის უარის შემთხვევაში კორპუსის დემონტაჟი ვერ განხორციელდება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში, ს/კ.: 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ეზიდთა სასულიერო საბჭოს საქართველოში, პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემული ჰქონდა უძრავი ქონება, ქართული და ევროპული ენების და კომპიუტერის სწავლების კურსების ჩატარების ვალდებულებით. იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ეზიდებისთვის არ არსებობს რეალური საჭიროება, ისწავლონ დამატებით რომელიმე ენა ან კომპიუტერი, საბჭომ ითხოვა აღნიშნული ვალდებულების ჩანაცვლება საქართველოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიის კურსით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს“-ს (ს/კ.: 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კომპანიისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულებაა მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის განვითარება. ამ ეტაპზე, მან წარმოადგინა წინადადება, რომ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, თუმცა ითხოვს იმის დაზუსტებას, თუ რა

იგულისხმება მომიჯნავედ არსებული განვითარებაში. სააგენტომ, მოკვლევის შედეგად, დაადგინა, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარეობს ბოტანიკური ბაღი, რომლის ე.წ. უკანა შესასვლელი და ჭიშკარი არის მოსაწყობი. იქიდან გამომდინარე, რომ შპს-ს პროექტი არის მომიჯნავედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულება დაკონკრეტდეს შემდეგი პირობით: ბოტანიკური ბაღის შესავლელის კეთილმოწყობა, არანაკლებ 30000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებით.

რევაზ სოხაძემ წარმოდგენილ პროექტს „ქალაქისთვის ძალიან მძიმე პროექტი" უწოდა, ასევე ბუნდოვანია ჩანაწერი „მომიჯნავე ტერიტორიის განვითარება", რადგან მომიჯნავედ არის ბოტანიკური ბაღი და გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ჩანაწერი გაჩნდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რაც იქ უნდა აშენდეს, იმ უბნისთვის ძალიან დიდი კომპლექსია.

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა, თუ რა საინვესტიციო პირობებით გადაეცა კომპანიას მიწის ნაკვეთი, აქვს თუ არა აღნიშნული ვალდებულების გარდა რაიმე სხვა ვალდებულება, მომიჯნავე ტერიტორიის განვითარების ვალდებულების განხორციელებისთვის განსაზღვრულია თუ არა თანხა და რა მიზნით ხორცილდება წარმოდგენილი ჩანაწერის დაკონკრეტება.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ კომპანიას, აღნიშნულის გარდა, განსაზღვრული აქვს სხვა საინვესტიციო ვალდებულებებიც, ხოლო თანხის ოდენობა, ამ ეტაპზე, მისთვის უცნობია.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს გარკვეული კითხვები, რომლებზე პასუხის ცოდნა მნიშვნელოვანია და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ეტაპზე, უმჯობესია საკითხის გადადება სამომავლო განხილვისთვის, რასაც დაეთანხმნენ საკითხის წარმდგენი და საკრებულოს წევრები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხის განხილვის გადადების წინადადება.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ.თბილისში, საირმის ქუჩა N82-ში მდებარე 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ.: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" 2016 წლის 1 აპრილის N04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ.: 33001008974) გათავისუფლების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მოქალაქემ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, დაახლოებით 8-9 თვის განმავლობაში ვერ შეძლო საიჯარო ქირის გადახდა და წარადგინა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც მას ჩაუტარდა მძიმე ოპერაცია და შესაბამისად, ფიზიკურად ვერ მოახერხებდა თანხის გადახდას, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გათავისუფლება დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდისგან, რომელიც შეადგენს დაახლოებით 900 ლარს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია სამი ერთეული ფართის (საერთო მოცულობა 268 კვ.მ.) გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2007 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შვიდი ერთეული ფართის (საერთო მოცულობა 606 კვ.მ.) გადაცემა შვიდი პირისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2000 წლიდან და ამავდროულად არიან კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქონების გადაცემის სანაცვლოდ ისინი უარს ამბობენ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ვალზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ᵃ მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 942 კვ.მ. ფართის გადაცემა თხუთმეტი ოჯახისთვის, რომლებიც აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2007 წლიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო 2017 წელსაც და იქიდან გამომდინარე, რომ საკრებულოში მოქმედებს გენდერული საბჭო, პროექტი წარმოდგენილია სწორედ 2017-2020 წლების ზოგადი სტრატეგიის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 10 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი